სსიპ საჯარო რეესტრის
ეროვნული სააგენტო

8 აპრილი 2025

გადაწყვეტილება # P25000008/5 (08/04/2025 22:25:19)

განცხადების განხილვის ვადის დინების შეჩერების შესახებ

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებულ იქნა განცხადება #**P25000008** 27/02/2025 13:43:01 (განმცხადებელი: გიორგი ქარდავა), რომლითაც მოთხოვნილია მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების (პარტიის) რეგისტრაცია.

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება (პარტია)
დასახელება: **კონსერვატორები საქართველოსთვის**

1. აღწერილობითი ნაწილი:

განმცხადებლის მიერ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში 2025 წლის 27 თებერვალს წარდგენილია #P25000008 განცხადება თანდართულ დოკუმენტებთან (მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „კონსერვატორები საქართველოსთვის“ დამფუძნებელი ყრილობის ოქმი, წესდება, უძრავი ნივთის მესაკუთრისა და ტელეფონის ნომრის მფლობელის თანხმობა, ხელმოწერის ნიმუში, დამფუძნებელთა ყრილობის დამსწრე დელეგატთა/წევრთა სია, სიმბოლიკის (ბეჭედი, ლოგო, ბლანკი (ქართულენოვანი, ინგლისურენოვანი) ესკიზები, სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი) ერთად.

აღნიშნული განცხადებით მოთხოვნილია მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების (პარტიების) რეესტრში მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „კონსერვატორები საქართველოსთვის“ რეგისტრაცია.

მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ 2025 წლის 27 მარტს მიღებულ იქნა P25000008/3 გადაწყვეტილება განცხადების განხილვის ვადის დინების შეჩერების შესახებ.

განმცხადებლის მიერ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში 2025 წლის 4 აპრილს წარდგენილია #P25000008/4 განცხადება თანდართულ დოკუმენტებთან (მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „კონსერვატორები საქართველოსთვის“ დამფუძნებელი ყრილობის ოქმი, წესდება, უძრავი ნივთის მესაკუთრისა და ტელეფონის ნომრის მფლობელის თანხმობა, ცნობა ტელეფონის ნომრის თაობაზე, ხელშეკრულება ტელეფონის ნომრის სარგებლობის შესახებ, ხელმოწერის ნიმუშები, სია, სიმბოლიკის (ლოგო, ბლანკი (ქართულენოვანი, ინგლისურენოვანი) ესკიზები) ერთად.

სარეგისტრაციოდ წარდგენილი დოკუმენტაცია არ შეესაბამება რეგისტრაციის პირობებს შემდეგი გარემოებების გამო:

2. დასაბუთება:

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-12 მუხლისა და 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, „პარტიის შესაქმნელად მოქალაქეთა არანაკლებ 300-კაციანი ჯგუფი წინასწარი ნებართვის გარეშე ატარებს პარტიის დამფუძნებელ ყრილობას (კონფერენციას, კონგრესს, ასამბლეას ან სხვ.). პარტიის დამფუძნებელი ყრილობის ჩატარებიდან ერთი კვირის ვადაში საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს წარედგინება მონაცემები სახელის, გვარის, დაბადების თარიღის, პირადობის მოწმობის ნომერის, სამუშაო ადგილის,

საცხოვრებელი ადგილის მისამართისა და ტელეფონის მითითებითა და მათი ხელმოწერებით.“. ამასთან, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 9 აგვისტოს №161 ბრძანებით დამტკიცებული „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების (პარტიების) რეესტრის წარმოების წესის“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, აღნიშნული ინფორმაცია დამატებით წარმოდგენილი უნდა იქნეს ისეთი ელექტრონული ფორმით (ელექტრონული ცხრილის სახით - xlsx, cvs, ან მსგავსი ფორმატი; კოდირება UTF8), რაც რეგისტრაციის სამსახურს მისცემს შესაბამისი მონაცემების ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით დამუშავების შესაძლებლობას. ელექტრონული ფორმით შედგენილი ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს იმ თანმიმდევრობით და სიზუსტით, როგორც ეს მითითებულია ქაღალდის მატარებელზე.

მარეგისტრირებელ ორგანოში წარდგენილ #P25000008/4 (04.04.2025წ.) განცხადებაზე არ არის თანდართული ზემოაღნიშნული საკანონმდებლო რეგულაციის გათვალისწინებული მონაცემების შემცველი სათანადო წესით შედგენილი სია (მატერიალური, ელექტრონული).

3. დასკვნა:

3.1. საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და კანონმდებლობის მოთხოვნათა ურთიერთშეჯერების შედეგად, დგინდება, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ აკმაყოფილებს რეგისტრაციის პირობებს.

3.2. საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 9 აგვისტოს N161 ბრძანებით დამტკიცებული „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების (პარტიების) რეესტრის წარმოების წესის“ მე-4 პრიმა მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე,

გადაწყვიტა:

1. შეჩერდეს სარეგისტრაციო წარმოება #P25000008 განცხადებაზე.

2. დადგენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად განისაზღვროს 10 დღის ვადა.

3. რეგისტრაციის მიზნით, დამატებით წარდგენილ იქნეს, წინამდებარე გადაწყვეტილების მე-2 პუნქტის შესაბამისად, კანონმდებლობით მოთხოვნათა გათვალისწინებით, სათანადო წესით შედგენილი სარეგისტრაციო დოკუმენტი.

4. სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ვადაში სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების აღმოფხვრის დამადასტურებელი ინფორმაციის ან დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში მიღებული იქნება გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

5. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გადაწყვეტილება გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და მხოლოდ შემდგომ სასამართლოს წესით. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქ.#22, ამასთან, ადმინისტრაციული საჩივრის წერილობითი ფორმით ჩაბარება შესაძლებელია იუსტიციის სახლში, მის ფილიალებსა და საზოგადოებრივ ცენტრებში, ასევე, ფოსტისა და მოქალაქის პორტალის – my.gov.ge მეშვეობით.